



რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები

სილაბუსი

შესავალი

რაოდენობრივი კვლევა სოციალურ მეცნიერებში გულისხმობს სისტემატიურ ემპირიულ გამოკვლევას დაკვირვებად მოვლენებზე სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან კვლევის ყველა ეტაპს - მოსამზადებელი ეტაპიდან დაწყებული, ანალიზით დამთავრებული. ასევე, შეასრულებენ დავალებებს, რომლებიც კვლევის ჩატარებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნასა და განვითარებაში დაეხმარებათ.

კურსის მიზნები

კურსი მიზნად ისახავს, მონაწილეებმა მიიღონ:

1. საბაზისო ცოდნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდების შესახებ;
2. საკვლევი საკითხის მიხედვით მეთოდოლოგიის განსაზღვრის უნარები;
3. პრაქტიკული უნარები რაოდენობრივი კვლევის დასაგეგმად და შესაფასებლად.

სწავლების მეთოდები

კურსი მოიცავს როგორც ლექციებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების შესახებ, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებსაც (ჯგუფურსაც და ინდივიდუალურსაც), რომლის ფარგლებშიც, მონაწილეებს შეეძლებათ პრაქტიკულად განახორციელონ კვლევის გარკვეული საფეხურები.

კურსის შედეგები

კურსის გავლის შემდეგ მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა:

1. აირჩონ სასურველი მეთოდოლოგია და მოარგონ საკვლევი საკითხს;
2. შეაფასონ რაოდენობრივი კვლევის ანგარიში.



კურსის შინაარსი

#	თემა	შინაარსი	ხანგრძლივობა
1)	შესავალი ლექცია კვლევის მეთოდებში	<p>ლექციის ფარგლებში მიმოხილული იქნება შემდეგი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სოციალური კვლევის არსი, დანიშნულება, გამოყენების შესაძლებლობები; • სოციალური კვლევის ტიპები (ინდუქციური, დედუქციური); • კვლევისა და თეორიის ურთიერთდამოკიდებულება (ერთჯერადი და ლონგიტუდური კვლევები); • სოციალური კვლევის ძირითადი მეთოდები (თვისებრივი და რაოდენობრივი), მათი დანიშნულება, ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები; მეთოდის არჩევის ძირითადი პრინციპები; <p>სავარჯიშო: კვლევის მეთოდის არჩევა</p> <p>მონაწილეები დაიყოფიან მცირე ჯგუფებად. ლექტორი მათ სთავაზობს სხვადასხვა საკვლევ საკითხს, მონაწილეებმა კი ამ საკითხებს უნდა შეუსაბამონ კვლევის მეთოდი (რაოდენობრივი ან თვისებრივი).</p>	2სთ
2)	შესავალი ლექცია რაოდენობრივი კვლევის მეთოდებში	<ul style="list-style-type: none"> • რაოდენობრივი კვლევის მიზნები; • ინფორმაციის მოპოვების განსხვავებული ფორმატები რაოდენობრივი კვლევის დროს (პირისპირ ინტერვიუ, თვითადმინისტრირებული კითხვარი, სატელეფონო ინტერვიუ, CAT) <p>სავარჯიშო: რაოდენობრივი კვლევის სხვადასხვა ტიპის ანალიზი</p> <p>მონაწილეები დაიყოფიან ოთხ ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა იმსჯელოს რაოდენობრივი კვლევის დროს ინფორმაციის მოპოვების რომელიმე მეთოდის შესახებ და გამოყოს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. 20-წუთიანი მსჯელობის შემდეგ თითოეული ჯგუფი აკეთებს 5-წუთიან პრეზენტაციას. თითოეული პრეზენტაციის შემდეგ ლექტორი აჯამებს ინფორმაციას მეთოდის უპირატესობისა და ნაკლოვანების შესახებ.</p> <ul style="list-style-type: none"> • რაოდენობრივი კვლევის ძირითადი ეტაპები; 	2სთ



#	თემა	შინაარსი	ხანგრძლივობა
3)	კვლევითი შეთავაზება	<p>სავარჯიშო: კვლევითი წინადადების შემუშავებისათვის საჭირო ინფორმაციის განსაზღვრა. თითოეულ მონაწილეს დაურიგდება დოკუმენტი, სადაც ასახულია პირობები კვლევის ჩატარების შესახებ (Terms of Reference). მოსაფიქრებელი დროის შემდეგ, მონაწილეებმა ბრენშტორმინგის გზით უნდა ჩამოწერონ, თუ რა ტიპის ინფორმაცია სჭირდებათ TOR-ის შესაბამისი კვლევის დასაგეგმად. ლექტორი აკეთებს შეჯამებას.</p> <p>ლექციაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევითი შეთავაზების დიზაინი; • კვლევითი შეთავაზების შედგენისათვის აუცილებელი ინფორმაცია; • კვლევითი შეთავაზების მისადაგება TOR-თან; • ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის მეთოდების შერჩევა; <p>საშინაო დავალება: მონაწილეებმა უნდა მოიფიქრონ, რა საკითხზე/თემაზე სურთ კვლევის დიზაინის შემუშავება.</p>	<p>2 სთ</p> <p>3 სთ</p>
4)	საკვლევი პრობლემის განსაზღვრა	<ul style="list-style-type: none"> • კვლევითი შეკითხვის/პრობლემის შემუშავება; <p>სავარჯიშო: მონაწილეები დაიყოფიან ჯგუფებად. ლექტორი მათ სთავაზობს თემას, რომელზეც თითოეულმა ჯგუფმა უნდა შეიმუშავოს კვლევის შეკითხვა. სამსჯელო დროის გასვლის შემდეგ თითოეული ჯგუფი ასახელებს მათ კვლევით შეკითხვას. ლექტორი აფასებს დასახელებულ კვლევით შეკითხვებს სთავაზობს მოდიფიცირებას საჭიროების შემთხვევაში.</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევის მეთოდის შერჩევა; <p>სავარჯიშო: თითოეულმა ჯგუფმა შემუშავებულ კვლევით შეკითხვას უნდა შეუსაბამოს კვლევის მეთოდი ლექტორის ინსტრუქციების შესაბამისად.</p> <p>სხვა განსახილველი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევის მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა; • კვლევის ჰიპოთეზის შემუშავება; <p>საშინაო დავალება: მონაწილეებმა, შერჩეული ინდივიდუალური თემების შესაბამისად, უნდა შეიმუშაონ საკვლევი შეკითხვა, მიზნები და ამოცანები, ჰიპოთეზა და შეარჩიონ კვლევის შესაბამისი მეთოდი/მეთოდები.</p>	<p>2 სთ</p> <p>3 სთ</p>



#	თემა	შინაარსი	ხანგრძლივობა
5)	შერჩევა	<p>ლექციაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none">• სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა;• პოპულაცია და შერჩევა; <p>სავარჯიშო: მონაწილეები დაიყოფიან რამდენიმე ჯგუფად. ლექტორი მათ სთავაზობს კვლევის შეკითხვას და სთხოვს, შეარჩიონ სამიზნე ჯგუფი. სამსჯელო დროის გასვლის შემდეგ თითოეული ჯგუფი ასახელებს სამიზნე ჯგუფებს. ლექტორი აჯამებს მათ მსჯელობას.</p> <ul style="list-style-type: none">• შერჩევის ძირითადი დიზაინები;• შერჩევის სხვადასხვა სტატისტიკური მახასიათებელი (შერჩევის განაწილება, ცდომილება, სანდოობის დონეები და სხვა); <p>სავარჯიშო: ლექტორი სტუდენტებს აჩვენებს ნორმალური განაწილების გრაფიკს სხვადასხვა სტატისტიკური მახასიათებლის მითითებით და სთხოვს, ჯგუფებში ვერბალურად ჩამოაყალიბონ შერჩევის სტატისტიკური მახასიათებლები.</p> <ul style="list-style-type: none">• რეპრეზენტატულობა და გენერალიზება. <p>საშინაო დავალება: მონაწილეებმა, შერჩეული ინდივიდუალური თემების შესაბამისად, უნდა შეიმუშაონ შერჩევის დიზაინი თეორიულად: განსაზღვრონ საკვლევი პოპულაცია, სამიზნე ჯგუფი და შერჩევის მეთოდი.</p>	2 სთ
6)	ცვლადი	<p>განსახილველი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none">• ცვლადის არსი;• ცნებების ოპერაციონალიზაცია; <p>სავარჯიშო: მონაწილეები ნაწილდებიან ჯგუფებში. ლექტორი თითოეულ ჯგუფს აწვდის ერთ ან რამდენიმე ცნებას და სთხოვს, მოიფიქრონ ამ ცნებების შესაბამისი ცვლადები.</p> <ul style="list-style-type: none">• სანდოობა და ვალიდობა;	2 სთ



#	თემა	შინაარსი	ხანგრძლივობა
9)	პილოტაჟი	<p>განსახილველი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პილოტაჟის არსი და დანიშნულება • პილოტირების მეთოდები და სტანდარტები; <p>საშინაო დავალება: მონაწილეებმა, შერჩეული ინდივიდუალური თემების შესაბამისად, უნდა შეიმუშაონ პილოტაჟის მეთოდები.</p>	<p>1 სთ</p> <p>3 სთ</p>
10)	საველე სამუშაოები	<p>განსახილველი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საველე სამუშაოების მოსამზადებელი ეტაპი; • ინტერვიუერთა ტრენინგი; • ველის კონტროლი: სტანდარტები და სტრატეგიები; <p>საფარჯიშო: მონაწილეები დაიყოფიან ორ ჯგუფად. ლექტორი მათ აწვდის შერჩევისა და ველის პარამეტრებს და სთხოვს, შეიმუშაონ ველის კონტროლის მეთოდი და პარამეტრები.</p> <p>საშინაო დავალება: მონაწილეებმა, შერჩეული ინდივიდუალური თემების შესაბამისად, უნდა შეიმუშაონ ველის კონტროლის მექანიზმი.</p>	<p>2 სთ</p> <p>3 სთ</p>
11)	რაოდენობრივი კვლევის ჩატარებისათვის აუცილებელი რესურსები	<p>განსახილველი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსები; • კვლევის ბიუჯეტი; • კვლევის ვადები. <p>საშინაო დავალება: მონაწილეებმა, შერჩეული ინდივიდუალური თემების შესაბამისად, პირობითად უნდა შეიმუშაონ კვლევის ბიუჯეტი და ვადები.</p>	<p>2სთ</p> <p>3 სთ</p>



#	თემა	შინაარსი	ხანგრძლივობა
12)	პრეზენტაცია	<p>თითოეული მონაწილე გააკეთებს 10-წუთიან პრეზენტაციას მათ მიერ შემუშავებული კვლევითი შეთავაზების შესახებ. კვლევითი შეთავაზება მოიცავს ყველა ეტაპის აღწერას, გარდა მონაცემთა ანალიზის ეტაპისა.</p>	3 სთ
13)	SPSS პროგრამის გაცნობა	<ul style="list-style-type: none"> • SPSS-ის გამოყენების შესაძლებლობები სოციალურ მეცნიერებებში; • მონაცემთა დამუშავების ეტაპები; <p>სავარჯიშო: ლექტორი მონაწილეებს პრაქტიკულად ასწავლის SPSS-ში ცვლადებისა და მონაცემების შეყვანას.</p>	2 სთ
14)	მონაცემთა მომზადება დამუშავებისათვის	<p>განსახილველი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კოდირება; <p>სავარჯიშო: მონაწილეები დაიყოფიან ჯგუფებად. ლექტორი მათ აწვდის ნახევრად დახურულ შეკითხვას და იმ ცვლადებს, რომლებიც არ შედის პასუხის ვარიანტებში და სთხოვს, მოახდინონ მათი კოდირება.</p> <ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა გაწმენდა, შეცდომების გასწორება და ა.შ. 	2სთ



#	თემა	შინაარსი	ხანგრძლივობა
17)	მონაცემთა ბივარიაციული ანალიზი	<ul style="list-style-type: none"> • კროსტაბულაცია • კორელაცია <p>კროსტაბულაციისა და კორელაციის მეთოდებს ლექტორი სტუდენტებს უხსნის SPSS-ის გამოყენებით. სტუდენტებმა, ლექტორის ინსტრუქციების შესაბამისად, თავადაც უნდა შეასრულონ შესაბამისი ოპერაციები SPSS-ში.</p> <p>საშინაო დავალება: მონაწილეებმა უნდა მოახდინონ ინდივიდუალურად შერჩეული ცვლადების ბივარიაციული ანალიზი და ინტერპრეტაცია. მათ უნდა წარმოადგინონ დოკუმენტი, სადაც დავალება ასახული იქნება: პროცედურულად (სინტაქსების მითითებით); ვიზუალურად (სკატერფლოტი, საჭიროების შემთხვევაში), ცხრილების სახით (საჭიროების შემთხვევაში) და ვერბალურად (მონაცემთა ინტერპრეტაცია).</p>	4 სთ 3 სთ
18)	კვლევის ანგარიში	<p>განსახილველი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა ვიზუალიზაცია (ცხრილები და დიაგრამები); • კვლევის ანგარიშის სტრუქტურა და შინაარსი; <p>მონაცემთა ვიზუალიზაციის შესაძლებლობებს ლექტორი სტუდენტებს აცნობს SPSS-ის ან Excel-ის გამოყენებით. სტუდენტებმა, ლექტორის ინსტრუქციების შესაბამისად, თავადაც უნდა შეასრულონ შესაბამისი ოპერაციები.</p> <p>საშინაო დავალება: მონაწილეებმა უნდა ააგონ ინდივიდუალურად შერჩეული ცვლადების შესაბამისი დიაგრამები და/ან ცხრილები.</p>	2 სთ 5 სთ
19)	კვლევის ეთიკა	<p>კვლევასთან დაკავშირებული ძირითადი ეთიკური საკითხებისა და სტანდარტების მიმოხილვა.</p> <p>სავარჯიშო: ლექტორი სტუდენტებს სთავაზობს 2 ქეისს და სთხოვს, იმსჯელონ, რამდენად შეესაბამება ქეისები ეთიკურ სტანდარტებს. ლექტორი აჯამებს დისკუსიას და აფასებს ქეისის ეთიკურ მხარეს.</p>	2სთ



#	თემა	შინაარსი	ხანგრძლივობა
20)	პრეზენტაცია	<p>განსახილველი საკითხები: კვლევის შედეგების ძირითადი საპრეზენტაციო ფაილის მომზადება</p> <p>სავარჯიშო: მონაწილეები მოახდენენ ზოგიერთი შედეგის საპრეზენტაციო ფაილის აგებას</p> <p>საშინაო დავალება: მონაწილეები პრეზენტაციას აკეთებენ მათ მიერ შერჩეული ცვლადების ანალიზის და შესაბამისი მეთოდოლოგიის შესახებ. ლექტორი მათ აწვდის შესაბამის უკუკავშირს. მონაწილეებმა ნაშრომები უნდა წარმოადგინონ წერილობითი სახით. დოკუმენტში დავალება ასახული უნდა იყოს შემდეგი სახით: პროცედურულად (სინტაქსების მითითებით); ვიზუალურად (დიაგრამების და/ან ცხრილების გამოყენებით, საჭიროების შემთხვევაში) და ვერბალურად (მონაცემთა ინტერპრეტაცია).</p>	<p>2სთ</p> <p>3 სთ</p>